ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N140

ქ. ბათუმი 15 ივლისი, 2022 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი - შემდგომში "შემსყიდველი", დეპარტამენტის უფროსის მამუკა თურმანიძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ჯი-თი მოტორსი" - შემდგომში "მიმწოდებელი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: სპეციალიზებული, მაღალი გამავლობის ავტომობილის (პიკაპი) "Ford Ranger"-ის სახელმწიფო ნომრით ZZ 084 CC (გამოშვების წელი-2019) ტექმომსახურება, სათადარიგო ნაწილების შეცვლით (CPV კოდი -50100000) – შემდგომში მომსახურება.

1.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 8675.69 (რვაათასექვსასსამოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარს.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ინვოისი თან ერთვის, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ანგარიშსწორება

2.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

2.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშფაქტურის (ინვოისის) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებს და მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3.3. თუ დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება არის უხარისხო, მიმწოდებელი უზრუნველყოფს წუნდებული მომსახურების გამოსწორებას, საკუთარი ძალებით და საშუალებებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და/ან საჭიროების შემთხვევაში დამატებით გონივრულ ვადაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.3. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და ქონების მოვლა-შენახვის სამსახური.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;
გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
დ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

6. ფორს-მაჟორი

6.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.
6.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით,

საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
6.3. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
6.4 ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (მიმწოდებლის მიზეზით), მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
7.3.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
7.4 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს მომსახურების ვადების დარღვევისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
7.5 იმ შემთხვევაში. თუ ვადების გადაცილების გამო მიმწოდებლის მიერ გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 (პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადმდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
7.6 ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს დეპარტამენტი ლოჯისტიკისა და ქონების მოვლა-შენახვის სამსახური. ხელშეკრულების პირობების საერთო კონტროლი ევალება დეპარტამენტის უფროსის დარგის კურატორ მოადგილეს.
8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
9.2. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით, დანართის ფორმით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს).
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
10.4.იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
10.5. ნებისმიერ ცვლილება, რომელსა მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელექტრონული ფოსტით (სკანირებული PDF ფორმატში) ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
10.8. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების

ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.10 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორმხრივად (შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ) ელექტრონულად ხელმოწერილი სახით, რომელსაც გააჩნია იურიდიული ძალა.

10.11. მომსახურების ინვოისი თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

11.2.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72ა	შპს „ჯი-თი მოტორსი “
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N155
სამინისტროს საქვეუწყებო-დაწესებულება	საიდ.კოდი: **206 276 340**
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	ელ.ფოსტა-**info@gtmotors.ge**
ელ.ფოსტა-**info@ajararoads.ge**	მიმღები ბანკი: ს.ს. “საქართველოს ბანკი”
საიდ. კოდი: **245 538 333**	ბანკის კოდი: **BAGAGE022**
დეპარტამენტის უფროსი:	ანგარიშის #
მამუკა თურმანიძე	**GE89BG0000000247624300**
	გენერალური დირექტორი
	თემურ უსტიაშვილი
Mamuka Turmanidze Digitally signed by Mamuka Turmanidze Date: 2022.07.15 15:38:55 +04'00'	GT MOTORS LTD Подписано цифровой подписью: GT MOTORS LTD Дата: 2022.07.15 18:52:41 +04'00'

"შპს ჯი-თი მოტორს"
მომსახურების შეთავაზება

თარიღი 08.07.2022

კვოტა SQ06887

მფლობელი	პირადი ან საიდ.	კოდი	ტელეფონი	ელ. ფოსტა
აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი	245538333	245538333	+995555400007	bolqvadze_rolandi@mail.ru

შემსყიდველი	პირადი ან საიდ.	კოდი	ტელეფონი	ელ. ფოსტა
აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი	245538333	245538333	+995555400007	bolqvadze_rolandi@mail.ru

ბრენდი	მოდელი	წელი	სახ. ნომერი	ვინ კოდი	გარბენი კმ.
FORD_EU	Ranger Manual	1	ZZ084CC	6FPPXXMJ2PKC67350	110000

მიმღების კომენტარი

დასახელება	რაოდ.	განზ.	ერთ. ფასი	ღირებ. დღგ-ს გარეშე	ღირებ. დღგ-ს ჩათვლით
ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	0,500	საათი	63,559	16,95	20,00
საჭის წევის შეცვლა მჯ/მც	0,800	საათი	63,559	50,85	60,00
თვლის ნახრის გასწორება	0,500	საათი	63,559	21,19	25,00
საჭის წევა *	2,000	ცალი	300,000	600,00	708,00
უკანა რესორების შეცვლა	2,100	საათი	63,559	133,47	157,50
კონდენციონერის ფილტრი *	1,000	ცალი	99,153	99,15	117,00
ზეთის ფილტრი *	1,000	ცალი	61,017	61,02	72,01
საწვავის ფილტრი 2.2 *	1,000	ცალი	158,475	158,47	186,99
ჰაერის ფილტრის (დიდი) შეცვლა	0,200	საათი	63,559	8,48	10,01
ჰაერის ფილტრი 2.2 *	1,000	ცალი	216,102	216,10	255,00
საწვავის ფილტრის შეცვლა	0,200	საათი	63,569	12,71	14,99
ინტერქულერი *	1,000	ცალი	2 227,119	2 227,12	2 628,00
ABS სენსორი უკანა მჯ *	1,000	ცალი	146,271	146,27	172,60
რესორი უკანა *	2,000	ცალი	1 755,760	3 511,52	4 143,59
ინტერქულერის მოხსნა/დაყენება	1,200	საათი	63,559	76,27	90,00
სალონის ფილტრის შეცვლა	0,200	საათი	63,559	12,71	15,00

ხელობა	332,63	392,50
ნაწილები	7 019,65	8 283,19
დღგ 18%		**1 323,41**
ჯამი		**8 675,69**

ს.ს საქართველოს ბანკი
BAGAGE022
GE89BG0000000247624300
ს.კ / ID N 206276340

+995 32 259 50 00
info@gtmotors.ge

აღმაშენებლის ხეივანი N155
0131 თბილისი, საქართველო

"შპს ჯი–თი მოტორს"
მომსახურების შეთავაზება

თარიღი 08.07.2022

კვოტა SQ06887

გადახდის ფორმა	საბანკო გადარიცხვა
გადამხდელი	აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პირადი ან საიდ.	245538333
შეთავაზება ძალაშია	22.07.2022

სერვისის მიმღები
Kakhidze Guram

შემსყიდველი
აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელმოწერა

ხელმოწერა

*სათადარიგო ნაწილები ნიშნით * წარმოადგენს ა/მ მწარმოებლის ორიგინალ ნაწილს*

ს.ს საქართველოს ბანკი
BAGAGE022
GE89BG0000000247624300
ს.კ / ID N 206276340

+995 32 259 50 00
info@gtmotors.ge

აღმაშენებლის ხეივანი N155
0131 თბილისი, საქართველო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **2022 წელი.**

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სპეციალიზებული კლასის მაღალი გამავლობის ავტომობილის (პიკაპი) “Ford Ranger”-ის სახელმწიფო ნომრით ZZ-084-CC (გამოშვების წელი-2019) ტექმომსახურების, სათადარიგო ნაწილების შეცვლით (CPV-50100000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით 2022 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის №140 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ შპს ,,ჯი თი მოტორსი” -სთან (ს/კ-206276340) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დეპარტამენტის უფროსი: Mamuka Turmanidze Digitally signed by Mamuka Turmanidze Date: 2022.07.15 15:38:09 +04'00' მამუკა თურმანიძე